უილიამ ოკამის სუპოზიციების როლი ლინგვისტური აზროვნების განვითარებაში

ლევან ხალვაში

ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული-პროფესორი

ელ.ფოსტა: Levan.Khalvashi@bsu.edu.ge

ORCID: https://orcid.org/0009-0002-6544-2021

აბსტრაქტი: უ. ოკამის ფილოსოფიურ-ლოგიკური კონცეფცია მეცნიერული აზროვნების ფაქტორია. მე-14 საუკუნეში მცირე აკადემიური რესურსის გამოკვლევით ინგლისელმა ფილოსოფოსმა ჩამოაყალიბა სამყაროს, აზროვნებისა და ენის ურთიერთმიმართების არისტოტელესაგან განსხვავებული კონცეპტუალური ხედვა. უ. ოკამს არ შეუქმნია გლობალური ფილოსოფიური თეორია, მეცნიერების ოლიმპოზე იგი დაიმკვიდრებს ადგილს სპეციფიკური შემოქმედებით - ნიშანთა და სუპოზიციათა ლოგიკური ანალიზით. მიღებულმა შედეგმა გაუსწრო დროს და ამიტომ საუკუნეთა განმავლობაში დარჩა სათანადო შეფასების გარეშე. ნამდვილად აქტუალური და მოთხოვნილი უ. ოკამის ნააზრევი გახდება მხოლოდ მე-20 საუკუნეში. ლინგვისტური ფილოსოფიის წარმომადგენლები, χ. მურის, ბ. რასელის, ლ. ვიტგენშტაინის, χ. ოსტინის მიმდევრები, მრავალ ქვეყანაში სამყაროს ფილოსოფიურ კვლევას უ. ოკამის მსგავსად აწარმოებენ მცირე ენობრივი მასალის ლოგიკური ანალიზით. ლ. ვიტგეინშტაინისა და χ. ოსტინის ნაშრომებში ენის ლოგიკურმა ანალიზმა სათავე დაუდო ლინგვისტურ პრაგმატიკას. სტატიაში შეფასებულია უ. ოკამის კონცეფციის განმაპირობებელი წინაისტორია, განხილულია ენის ანალიზის პრინციპები, შესწავლილია ავტორის იდეათა განვითარების გზა მეცნიერებაში.

საკვანძო სიტყვები: სუპოზიცია, აღმნიშვნელი გამონათქვამი, არააღმნიშვნელი გამონათქვამი, ნამდვილი მტკიცება, ცრუმტკიცება, კატეგორემატული სიტყვები, სინკატეგორემატული სიტყვები, აბსოლუტური ნიშნები, კონოტაციური ნიშნები.

* * *

შესავალი. მეცნიერების ყველა დარგი წარმოადგენს სისტემაში მოყვანილ მრავალი ადამიანის ნააზრევს. სისტემა, როგორც ცნობილია, განაპირობებს თავისი ნაწილების ღირებულებას (სოსიური, 2002, გვ. 121). მეცნიერებაში უმაღლესი ღირებულება ენიჭება იმ ავტორთა ნაშრომებს, რომლებიც განსაზღვრავენ დარგის კონცეპტუალურ ბაზასა და მეთოდოლოგიას.

უ. ოკამის მცდელობა დაედგინა თავის "ლოგიკაში" სამყაროს შესამეცნებლად სიტყვებსა და გამონათქვამებს შორის ნამდვილი ნიშნები სცილდება ამ დარგის ანტიკურ ტრადიციას. მაგრამ უ. ოკამი არ აცხადებს ახალი ლოგიკის პროექტს, არ გვპირდება სხვა შემეცნების თეორიას, მისი პრეტენზია მდგომარეობს იმაში, რომ შეიტანოს ცვლილება ჭეშმარიტების დადგენის ფილოსოფიურ პრაქტიკაში, რაც გულისხმობდა მხოლოდ ჩამატებას არისტოტელეს ლოგიკაში. ამასთან, დამატებული ეხებოდა სამყაროს, აზროვნებისა და ენის ურთიერთმიმართებას, რომელიც საფუძველია ყველა თეორიის. აქ მომხდარ უმცირეს ცვლილებას შეუძლია გამოიწვიოს თეორიის თვისებრივი გარდაქმნა. უ. ოკამი შეიძლება შევადაროთ რკინიგზის მეისრესთან, რომელმაც ისე გადაიყვანა მატარებელი სხვა ლიანდაგზე, რომ არ ჰქონდა წარმოდგენილი მისი შემდგომი მარშრუტი. უ. ოკამის "ლოგიკა" არ არის საპროგრამო ნაშრომი. ფილოსოფოსთაგან არავის შეუფასებია იგი

ფილოსოფიური აზროვნების ახალ საფეხურად. ლინგვისტებმა გასაგები მიზეზის გამო თავი შეიკავეს ფილოსოფოსის ნააზრევის დეტალურად განხილვისგან. მაგრამ ფილოსოფიურ ნაშრომს არა თუ შეუძლია კონცეპტუალურად გაამდიდროს სხვა დარგი, არამედ მოწოდებულიცაა ამისათვის. რა აქვს უ. ოკამის ნააზრევს ისეთი, რამაც შემდგომში დასაბამი დაუდო სხვათა მეცნიერულ შემოქმედებას?

მეთოდები. უ. ოკამის ფილოსოფიურ-ლოგიკური კონცეფციის შესაფასებლად გამოვიყენეთ ორი პრინციპი: 1. გამოჩენილი თეორია არ იწყება ავტორის ნაშრომში, 2. გამოჩენილი თეორია არ მთავრდება ავტორის ნაშრომში; ამან განსაზღვრა კვლევის მიმართულება: მეცნიერული აზროვნების ისტორია და მეთოდი: შესაბამისი სამეცნიერო ნაშრომების შედარებითი ლოგიკურ ლინგვისტური ანალიზი.

მსჯელობა. როგორიც უნდა იყოს ორიგინალური, მეცნიერული თეორია არ იწყება ავტორის ნაშრომში. გამოჩენილი მკვლევარი ყოველთვის საუკეთესო მოსწავლეცაა. ხოლო იდეებს აქვთ ჩამოყალიბების ისტორია. ამიტომ მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ის აკადემიური გარემო, რომელშიც მოღვაწეობდა მე-14 საუკუნეში უ. ოკამი. იგი წარმომადგენელია ოქსფორდის ფილოსოფიური სკოლის, რომელშიც იოანე დუნ სკოტის დახვეწილ ლოგიკურ მსჯელობასთან ერთად რობერტ გროსეტესტმა კვლევის აუცილებელ ნაწილად აღიარა ინდუქციური ანალიზი და ადამ მარშის ხელშეწყობით მეცნიერული ძიება მიმართა ცდას; აქვე როჯერ ბეკონმა შემოიღო ექსპერიმენტი პრაქტიკულ ფილოსოფიაში, ხოლო უილიამ შერვუდი ლოგიკას განიხილავდა სხვა მეცნიერებათა დამხმარ დისციპლინად. აღნიშნული ქმნიდა აშკარა დისონანსს შუა საუკუნეების სქოლასტიკოსთა არისტოტელეს ლოგიკაზე ხმააწყობილ დისკურში, რასაც მოჰყვა პეტრე ესპანელის მცდელობა, თუნდაც წარუმატებელი, შეექმნა ახალი ლოგიკა. თავისი კონცეფციის სხვა დასაყრდენს უ. ოკამი იპოვის მოდისტების (თომა ერფურტელი, იოანე დანიელი, სიმონ დანიელი...) სპეკულაციურ გრამატიკაში. მოდისტები მხარს უჭერდნენ არისტოტელეს, რომელიც დაუშვებდა სტრუქტურულ ანალოგიას (ოზომორფიზმს) სამყაროს, აზროვნებასა და ენას შორის. მათი აზრით, რაკი გონება ქმნის ენას, ეს უკანასკნელი სიღრმეში შეიცავს ბაზისურ ლოგიკურ საწყისებს, რომლებიც აკავშირებენ ენას აზროვნებასთან და ამ გზით სამყაროსთანაც. სპეკულაციური გრამატიკა მიზნად ისახავდა ენაში ლოგიკურის დადგენას. ამის მიღწევა შეიძლებოდა ენის ლოგიკური ანალიზით, უ. ოკამი გამოიყენებს მოდისტების ანალიზის აპარატს, აგრეთვე პეტრე ესპანელის სუპოზიციათა განხილვის პრაქტიკას, მაგრამ სხვა, გამონათქვამთა ჭეშმარიტების დადგენის მიზნით. მოდისტებისგან განსხვავებით უ. ოკამი არ დაეთანხმება არისტოტელეს. სტაგირელი იყო პირველი, ვინც მიაქცია ყურადღება იმას, რომ აზროვნების სისწორე შეიძლება დაირღვეს სიტყვათა მრავალმნიშვნელიანობით. ამიტომ ლოგიკას იგი დააფუძნებს არა გამონათქვამის შინაარსზე, არამედ აზრის სტრუქტურაზე, რომელიც არ ექვემდებარება სუბიექტურ ცვლილებას. „წართქმული'' მეტყველების ყველა გამონათქვამისთვის არისტოტელე დაადგენს ფორმალურ ნიშანს - მტკიცებას. ანალიტიკებში მოყვანილი სილოგიზმების ფიგურები არ შეიცავენ კონკრეტულ შინაარსს სამყაროს შესახებ: "თუ A არ ემთხვევა არც ერთ B-ს, მაშინ B-ც არ ემთხვევა არც ერთ A-ს; თუ A ემთხვევა ზოგიერთ B-ს მაშინ B-ც ემთხვევა ზოგიერთ A-ს., თუ A ითქმის ყველა B-ს შესახებ, ხოლო B- ყველა V-ს შესახებ, მაშინ A ითქმის ყველა V-ს შესახებაც..." (Аристотель, 1978, стр. 121,123). არიტოსტოტელეს ფორმალური ლოგიკა იმიტომ არის აზროვნების ობიექტური ინსტრუმენტი, რომ გამორიცხავს სიტყვათა სუბიექტურ სემანტიკას. აღნიშნული გვაფიქრებინებს იმას, რომ სწორ აზროვნებას უზრუნველყოფს მხოლოდ ლოგიკური სტრუქტურა. ამის საპირისპიროდ უ. ოკამი იკვლევს აზრის ჭეშმარიტების სემანტიკურ ფაქტორს. მართლაც, არისტოტელეს სოლოგიზმები მოკლებული არიან კონკრეტულ სემანტიკას მეტყველების გარეთ, ხოლო გამოყენების დროს სიმბოლოების (A, B, V...) ადგილს იკავებენ სიტყვები გარკვეული სემანტიკით.

უ. ოკამის მიხედვით, ანტიკური ჭეშმარიტება: სახელები გამოხატავენ იდეებს და აღნიშნავენ საგნებს (Платон, 1968, стр. 422) საჭიროებს დაზუსტებას. ცნებებს (იდეებს) ინგლისელი ფილოსოფოსი აღიარებს საგნების ბუნებრივ, ხოლო სიტყვებს - ხელოვნურ ნიშნებად. ბუნებრივი ნიშნები (ცნებები) დასაბამიერია, მათ არ შეიძლება გამოეცვალოს აღსანიშნი საგანი, წარმოქმნილმა ნიშნებმა (სიტყვებმა), პირიქით, შეიძლება შეიცვალონ საგანი. ამრიგად, სიტყვა ცვალებადი ნიშანია, ლოგიკა უნდა ითვალისწინებდეს ამას. რადგან ფიზიკურ საგნებს გამონათქვამში ენაცვლება მათი ნიშნები (სიტყვები), გამონათქვამის ჭეშმარიტება სხვა პირობასთან ერთად დამოკიდებულია იმაზეც, თუ როგორ ენაცვლება სიტყვა საგანს. გამონათქვამი "ადამიანი არის ღმერთი" ჭეშმარიტია, თუ სიტყვა "ადამიანი" აღნიშნავს ერთ ადამიანს - უფალს იესო ქრისტეს და იქნება მცდარი, თუ იგივე სიტყვა გულისხმობს ყველა ადამიანს (Оккам, 2002, стр. 31).

ამრიგად, ერთი და იგივე სიტყვა შეიძლება აღნიშნავდეს ობიექტების სხვადასხვა რაოდენობას, ანუ, თანამედროვე ტერმინოლოგიით, მას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ექსტენსიონალი. ამას გარდა სიტყვა შეიძლება იყოს გამოყენებული არა მხოლოდ ფიზიკური სამყაროს მიმართ. აღნიშნული ფაქტორებით გამოწვეულ სიტყვათა სემანტიკურ ცვლილებას ქრისტიანმა ფილოსოფოსმა პეტრე ესპანელმა უწოდა სუპოზიცია (ჩანაცვლება). მისი დაკვირვებით, სიტყვა "ადამიანი" შეიძლება აღნიშნავდეს:

1. მატერიალურ, მაგრამ არასულიერ ობიექტს: "ადამიანი არის სახელი"
2. ერთეულ ფიზიკურ ობიექტს: "ეს ადამიანი მირბის"
3. განუსაზღვრელ ობიექტს: "ადამიანი მირბის"
4. მრავალ ობიექტს: "ადამიანი უნდა იყოს ბედნიერი"
5. ზოგად მენტალურ ობიექტს: "ადამიანი არის სახე"

(Шишков, 2016, стр. 402)

პეტრე ესპანელი რეალისტია: იგი დაუშვებს ცნებების (უნივერსალიების) არსებობას რეალობაში. მასთან გამონათქვამში "ადამიანი არის სახე" სიტყვა "ადამიანი" აღნიშნავს ნამდვილად არსებულ ობიექტს. ამიტომ ყველა სუპოზიციაც თანაბრად რეალურია და ჭეშმარიტების დადგენისას არ საჭიროებს დამატებითი პირობის გათვალისწინებას. ნომინალისტი უ. ოკამი არ მიიჩნევს ცნებას და სიტყვას რეალურ ფიზიკურ ობიექტად. მისი შეფასებით, გამონათქვამში "ადამიანი არის სახე" სიტყვა "ადამიანი" გულისხმობს ცნებას, მაგრამ არ აღნიშნავს რეალურ ობიექტს, მსგავსად გამონათქვამში "ადამიანი არის სახელი'' სიტყვა ადამიანი გულისხმობს სიტყვას და არ აღნიშნავს რეალურ ობიექტს. მაშინ როდესაც აღმნიშვნელი გამონათქვამი უნდა შეიცავდეს სიტყვა - ნიშანს (Оккам, 2002, стр. 7,32). ინგლისელი ფილოსოფოსი სწავლობს სუპოზიციების შემთხვევებს, რათა განასხვავოს აღმნიშვნელი და არააღმნიშვნელი გამონათქვამები. ამიტომ მასთან სუპოზიციათა ურთიერთმიმართება იერარქიულია:

1. პერსონალური: სიტყვა გულისხმობს ერთეულ აღსანიშნს (საგანს, თვისებას, ცნებას ან სიტყვას) და არის ნიშანი: "ყოველი ადამიანი ცოცხალი არსებაა", "ყოველი სახელი მეტყველების ნაწილია", "ყოველი ცნება ზოგადია";
2. მარტივი: სიტყვა გულისხმობს ცნებას, მაგრამ არ აღნიშნავს მას: "ადამიანი არის ცნება";
3. მატერიალური: სიტყვა გულისხმობს სიტყვას, მაგრამ არ აღნიშნავს მას: "ადამიანი არის სახელი".

სხვა სუპოზიციები (დისკრეტული, ზოგადი, ბუნდოვანი, განსაზღვრული, მოძრავი, უძრავი, დისტრიბუტული) წარმოადგენენ პერსონალური სუპოზიციის ვარიანტებს (Оккам, 2002, стр. 32-45); მათგან დისკრეტული (გამოყოფს ერთეულ სიგნიფიკატს საკუთარი სახელით ან ჩვენებითი ნაცვალსახელით: "სოკრატე ბრძენია", "ეს ადამიანი ფილოსოფოსია") და ზოგადი (აღნიშნავს

მრავალ სიგნიფიკატს: “ადამიანი არის ცოცხალი არსება”) სემანტიკურად ცვლიან აზრს, დანარჩენი საინტერესო უნდა იყონ პრედიკატთა ლოგიკისათვის.

ამრიგად, ენით წარმოიქმნება იმაზე მეტი გამონათქვამი, ვიდრე საჭირო არის სამყაროს შესამეცნებლად, რადგან ფიზიკური სინამდვილის აღნიშვნასთან ერთად ენა ასახელებს თავის სტრუქტურასა და აზროვნების ფორმებს (“სულის ინტენციებს”). არ არის ძნელი ერთმანეთისგან გავარჩიოთ გამონათქვამები სამყაროს, აზროვნებისა და ენის შესახებ, თუ მათში გამოყენებულია შესაბამისი სიტყვები, მაგალითად, 1. “სოკრატე არის ფილოსოფოსი”, 2. “აზრი არის პრედიკაცია”, 3. “ზმნიზედა არ იცვლება”. მოყვანილი გამონათქვამები ჭეშმარიტია თავ-თავის სფეროში. პრობლემა თავს იჩენს მაშინ, როდესაც მატერიალურ და მარტივ სუპოზიციებში გამოიყენება შესაბამისად არა ენისა და აზრის აღმნიშვნელი სიტყვები, მაგალითად, “ადამიანი არის სახელი’’, „მირბის არის პრედიკატი’’. გასაგებია, რომ „ადამიანი’’ პირდაპირი გაგებით არ შეიძლება იყოს „სახელი’’ ისე, როგორც „მირბის’’ აღნიშნავს შესაბამის მოქმედებას და არა „პრედიკატს’’. არისტოტელეს ლოგიკა ვერ ასხვავებს გამონათქვამებს: 1. “სოკრატე არის ფილოსოფოსი’’; 2. „სოკრატე არის სახელი’’; 3. „სოკრატე არის მსჯელობის სუბიექტი’’. უ. ოკამის მიხედვით კი, პირველ გამონათქვამში სიტყვა "სოკრატე" აღნიშნავს სამყაროს ობიექტს, გვაქვს პერსონალური სუპოზიცია, რომელიც შეიძლება იყოს ჭეშმარიტი, მეორე გამონათქვამში “სოკრატე” გულისხმობს სიტყვას, მაგრამ არაფერს აღნიშნავს, სუპოზიცია მატერიალურია, გამონათქვამი არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი. მსგავსად მესამე გამონათქვამშიც „სოკრატე“ გულისხმობს აზრის ნაწილს, მაგრამ არ აღნიშნავს რამეს, სუპოზიცია მარტივია, რომელიც ასევე არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი. უ. ოკამის „ლოგიკის“ თანახმად, გამონათქვამის ჭეშმარიტების დასადგენად აუცილებელია ვიცოდეთ, რომელი სფეროს: ფიზიკური სამყაროს, ენისა, თუ აზროვნების მიმართ იგი არის გამოყენებული. წინააღმდეგ შემთხვევაშიც გამონათქვამი არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი, მაგალითად, „ფილოსოფოსი არ შეცვლილა“, „ადამიანი რჩება თავის ადგილზე“, „ცხოველი გადავიდა წინ“. როგორც პერსონალური სუპოზიცია მოყვანილი მაგალითები შეიძლება იყოს ჭეშმარიტი; მარტივი და მატერიალური სუპოზიციების შემთხვევაში ისინი არც ჭეშმარიტია, არც მცდარი.

უ. ოკამის თანახმად, შემეცნება წარიმართება ნიშნებით, მათ შორის სიტყვებითაც, თუკი ისინი არიან ნიშნები. სუპოზიციათა ანალიზმა დაანახვა ინგლისელ ფილოსოფოსს, რომ გამონათქვამში შემავალი ყველა სიტყვა არ აღნიშნავს ფიზიკური სამყაროს შემადგენელ ნაწილებს: საგნებსა და თვისებებს. ამგვარ სიტყვებს იგი უ. შერვუდის კვალად უწოდებს სინკატეგორემატულს (ზმნები, მიმღეობები, კავშირები, წინდებულები, შორისდებულები, ზოგიერთი სახელი). ჩამოთვლილი სიტყვები გამოყენებისას დაერთვიან კატეგორემატულ სიტყვებს, რომლებიც აღნიშნავენ ფიზიკური სამყაროს ობიექტებს, მაგალითად, „ადამიანი“, „ცხოველი“, „სითეთრე“, „თეთრი“, „ფერი“ (Оккам, 2002, стр. 11-13).

რადგან თვისება წარმოუდგენელია საგნის გარეშე, მისი გამომხატველი სახელიც აღნიშნავს ორ ობიექტს, საგანსა და თვისებას ერთდროულად. ამიტომ უ. ოკამი ყოფს კატეგორემატულ სიტყვებს აბსოლუტურ და კონოტაციურ (ლათ. connotare “თანააღნიშვნა”) ნიშნებად. პირველნი აღნიშნავენ ერთ ობიექტს (საგანს: „ადამიანი“, „ხე“ ან თვისებას: „სითეთრე“, „სიტკბო“) მეორენი - ორს (საგანსა და თვისებას) ერთდროულად, მაგალითად, „თეთრი“, „ტკბილი“, „ადამიანური“, „გონიერება“, „ფორმა“.

უ. ოკამის სიტყვათა ფილოსოფიურ-ლოგიკური ტაქსონომია ითვალისწინებს მათს გამოყენების სფეროსაც (ფიზიკური, ენობრივი, მენტალური). იგი განასხვავებს პირველადი იმპოზიციის შემთხვევას, როდესაც სიტყვები აღნიშნავენ ფიზიკურ საგნებსა და ცნებებს და მეორეულ იმპოზიციას, როდესაც სიტყვების ობიექტები არიან თავად სიტყვები, მაგალითად, „სახელი“, „ნაცვალსა-

ხელი“, „ზმნა“, „ბრუნვა“, „კილო“ (Оккам, 2002, стр. 19). მეორეული იმპოზიციის სიტყვები გამოიყენებიან ძირითადად გრამატიკაში.

პირველადი იმპოზიციის სიტყვები, თავის მხრივ, იყოფიან პირველადი ინტენციის სახელებად, რომლებიც აღნიშნავენ რეალურ ობიექტებს („ადამიანი“, „ქვა“, „თეთრი“) და მეორეული ინტენციის სახელებად - „მენტალურ ტერმინებად“, რომლებიც აღნიშნავენ ცნებებს: „სახე“, „გვარი“, „უნივერსალია“... (Оккам, 2002, стр. 21).

ენა ლოგიკისაგან დამოუკიდებელი სისტემაა, ამიტომ ენის ლოგიკური ანალიზიც, სულერთია ლოგიკის თუ გრამატიკის საჭიროებით ჩატარებული, არ შეიძლება იყოს სრულყოფილი. უ. ოკამი ფილოსოფოსია, ცოდნა ნიშნების შესახებ მას სჭირდება სამყაროს შესასწავლად. სწორედ ამიტომ წარმოდგენილი კლასიფიკაცია ეფუძნება ნიშანთა სახელდების უნარს (რეფერენციას). ნიშანთა შეფასებაც იერარქიულია, მთავარი ადგილი ეთმობა ფიზიკური სამყაროს აღმნიშვნელ კატეგორემატულ სიტყვებს: „ადამიანი“, „ცხოველი“, „სითეთრე“, „თეთრი“... მაგრამ აღნიშნული და სხვა არსებითი და ზედსართავი სახელები მარტივ და მატერიალურ სუპოზიციებში, ავტორის თანახმად, კარგავენ ნიშნის ფუნქციას: „ადამიანი სახელია“, „ცხოველი ცნებაა“, „თეთრი იბრუნება“. ამრიგად, უ. ოკამთან რეალური ობიექტების აღმნიშვნელი სიტყვები („ადამიანი“, „ცხოველი“, „სითეთრე“, „თეთრი“...) ხან აღნიშნავენ და ხანაც არ აღნიშნავენ რეალურ ობიექტებს, ამიტომ რეფერენციის მიხედვით მათი ცალმხრივად აღიარება კატეგორემატულ ნიშნებად არის უმართებულო.

დასკვნა. აღნიშნული და თუნდაც კიდევ სხვა შესაძლებელი შენიშვნა ვერ დაუკარგავს უ. ოკამის ნაშრომს მთავარს: მრავალ ორიგინალურ აზრს:

მსჯელობის ჩამოყალიბება არა წმინდა ლოგიკური, არამედ ლოგიკურ-ენობრივი აქტია;

სახელები, რომლებიც შესაბამის ცნებებთან ერთად იღებენ მონაწილეობას მსჯელობის აგებაში, გამოყენების სხვადასხვა შემთხვევაში განსხვავებულად ასახავენ სინამდვილეს;

გამონათქვამის ჭეშმარიტება დამოკიდებულია იმაზეც, თუ როგორ ენაცვლება ნიშანი საგანს;

ერთი და იგივე სახელი გამონათქვამებში სამყაროს და, მეორე მხრივ აზროვნებისა და ენის შესახებ რეფერენციის თვალსაზრისით გამოიყენება განსხვავებულად;

გამონათქვამი არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი, თუ მასში შემავალი სიტყვა სუბიექტის პოზიციაში არ აღნიშნავს ობიექტს (არ არის ნიშანი);

შემეცნება წარიმართება ნიშნებით: ცნებებით, სიტყვებითა და გამონათქვამებით;

ყველა სიტყვა არ არის ნიშანი;

ნიშანი გამოყენების ყველა შემთხვევაში არ არის ნიშანი;

ენა არ არის შემეცნების სრულყოფილი საშუალება: ნამდვილ მტკიცებებთან ერთად იგი წარმოქმნის არანამდვილ მტკიცებებსაც;

მტკიცება შეიძლება იყოს: 1. ჭეშმარიტი, 2. მცდარი, 3. არც ჭეშმარიტი არც მცდარი;

ლოგიკა საჭიროებს ნიშანთა გამოყენების შესწავლას.

P.S. ორიგინალური იდეები ქმნიან თეორიებს. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ვ. ჰუმბოლდტმა ჩამოაყალიბა ენის ანთროპოლოგიური თეორია, რომელმაც სათავე დაუდო თანამედროვე ლინგვისტიკას. გერმანელი ენათმეცნიერის თანახმად, ადამიანი აზროვნებს ენის მეშვეობით: „ენა იწყება უშუალოდ და ერთდროულად რეფლექსიის (აზროვნების - ლ. ხ.) პირველივე აქტით“ (Гумбольдт, 1984, стр. 301). ენის აზროვნებაში მონაწილეობის აღმოჩენა დაიწყო უ. ოკამთან.

ტრადიციული მეცნიერება ეფუძნება არისტოტელეს სწავლებას, რომელიც გვთავაზობს სამყაროს მეცნიერულ სურათს და შესწავლის მეთოდოლოგიას ენობრივი ფაქტორის გაუთვალისწინებლად. მე-20 საუკუნეში ლინგვისტური ფილოსოფიის წარმომადგენლებმა ბ. რასელმა, ლ. ვიტგენშტაინმა, ჯ. ოსტინმა და მათმა მიმდევრებმა სამყაროს შესწავლის აუცილებელ პირობად მიიჩნიეს ენის ლოგიკური ანალიზი. ჯ. ოსტინის აზრით, ფილოსოფიური კვლევისთვის პრინციპულად

მნიშვნელოვანია განასხვავოს ნამდვილი მტკიცებები (გამონათქვამები) ცრუმტკიცებებისაგან (Остин, 1986, стр. 25). χ. ოსტინი გააგრძელებს უ. ოკამის წამოწყებულ საქმეს და აღმოაჩენს პერ-ფორმატივებს - ფორმით თხრობით წინადადებებს, რომლებიც არაფერს მოგვითხრობენ, არც ამტკიცებენ და ამიტომ არ შეიძლება იყონ ჭეშმარიტი ან მცდარი, მაგალითად, „თანახმა ვარ შევირთო ეს ქალი ცოლად“, „ბოდიშს გიხდით“, „გილოცავთ წარმატებას“, „ვაცხადებ პროტესტს“... (Остин, 1986, стр. 27). უ. ოკამის მსგავსად χ. ოსტინიც არკვევს გამონათქვამის ჭეშმარიტების პრობ-ლემას და აკეთებს მეორე აღმოჩენას: მრავალი თხრობითი წინადადება ყოველთვის არ გამოიყე-ნება მტკიცებითი ფუნქციით, მაგალითად, „კატა ხალიჩაზეა“ 1. კატა არის ხალიჩაზე (მტკიცებითი), 2. მოაშორე კატა ხალიჩას! (არამტკიცებითი) (Остин, 1986, стр. 115). გავიხსენოთ უ. ოკამის: ნიშანი გამოყენების ყველა შემთხვევაში არ არის ნიშანი (Оккам, 2002, стр. 5).

ლ. ვიტგენშტაინის თანახმად, ენა ნიღბავს წინადადებათა ლოგიკურ ფორმას, რის გამოც ჭირს ფაქტების შესწავლა (Витгенштейн, 1994, стр. 32). ლოგიკური ანალიზის შედეგად ლ. ვიტგენშტაინი გაყოფს წინადადებებს სამ χგუფად: 1. სინთეზური: შეიძლება იყონ ჭეშმარიტი ან მცდარი, 2. ანა-ლიზური: ყოველთვის ჭეშმარიტია, 3. მეტაფიზიკური: არც ჭეშმარიტია, არც მცდარი, რადგან აღწე-რენ არარსებულ ფაქტებს. მეტაფიზიკური წინადადებისგან შედგება ტრადიციული ფილოსოფია (Витгенштейн, 1994, стр. 25). არც ჭეშმარიტმა და არც მცდარმა გამონათქვამებმა პირველად იჩინეს თავი უ. ოკამის მარტივ და მატერიალურ სუპოზიციებში. ლ. ვიტგენშტაინისა და χ. ოსტინის მოღ-ვაწეობით ჩამოყალიბდა ლინგვისტური პრაგმატიკა, რომლის დაარსების მონაწილედ უნდა ვაღია-როთ უ. ოკამიც.

მხოლოდ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ლინგვისტები აღიარებენ წინადადებას ნიშნად, ამ ფაქტს უ. ოკამი აღმოაჩენს მე-14 საუკუნეში.

უ. ოკამის კონცეფციის მთავარი აზრი: „ლოგიკა საჭიროებს ნიშანთა გამოყენების შესწავლას“ საუკუნეთა განმავლობაში რჩებოდა შეხმიანების გარეშე. ცნობილია, რომ სემიოტიკის დამაარსე-ბელს ჩ. პირსს სინამდვილეში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მიზნად ჰქონდა დასახული სემიოტიკური ლოგიკის (ნიშანთა ლოგიკის) შექმნა (Пирс, 2000, стр. 325). ამ წამოწყებული პროექტის ფარგლებში მოცემული ნიშანთა კლასიფიკაცია უნივერსალურია მეცნიერების ყველა დარგისთვის. მაგრამ ჩ. პირსთან ბუნდოვანი დარჩა მისი „ფორმალური სემიოტიკის“ მთავარი დებულება: აზ-როვნებას გონება წარმართავს ნიშნებით და არა იდეებით (პლატონი) ან სიტყვებით (ჰუმბოლდტი). უ. ოკამმა გვაჩვენა, რომ გონება მოიაზრებს ობიექტს იდეებითა და სიტყვებით, თუკი ისინი არიან ნიშნები, ანუ გონება მოქმედებს მხოლოდ ნიშნებით.

ამრიგად, უ. ოკამის შემოქმედებას მოჰყვება გაგრძელება. გამოჩენილი თეორია არ იწყება და არ მთავრდება ავტორის ნაშრომში.

ბიბლიოგრაფია

Аристотель. (1978). Т. 2. В Аристотель, *Сочинения в 4-х томах.* Москва: Мысль.

Витгенштейн, Л. (1994). Часть 1. В Л. Витгенштейн, *Философские работы.* Москва: Гнозис.

Гумбольдт, В. (1984). *Избранные труды по языкознанию.* Москва: Прогресс.

Оккам, У. (2002). *Избранное.* Москва: Едиториал УРРС.

Остин, Д. (1986). НЗЛ 17. В Д. Остин, *Слово как действие.* Москва: Прогресс.

Пирс, Ч. (2000). Том 2. В Ч. Пирс, *Начала прагматизма.* Санкт-Петербург: Алетейя.

Платон. (1968). Том 1. В Платон, *Сочинения в 4 томах.* Москва: Мысль.

Шишков, А. (2016). *На плечах гигантов.* Санкт-Петербург: Университетская книга.

სოსიური, ფ. (2002). *ზოგადი ენათმეცნიერების კურსი.* თბილისი: დიოგენე.